დანართი 1

დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის ------- იანვრის
N---------- ბრძანებით

„მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება“ ფარგლებში სამედიცინო ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

„მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების“ ქვეპროგრამის (ღონის-ძიება „მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება“) ბენეფი-ციარმა ან მისმა წარმომადგენელმა სამედიცინო ვაუჩერის მიღების მიზნით განცხადებით უნდა მომართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინოს:

ა) მოქალაქის განცხადება;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
გ) სამედიცინო ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;
დ) დოკუმენტაცია სოციალური მომსახურების სააგენტოდან საყოველთაოში ჩართუ-ლობისა და დარიცხული ხელფასის (მომსახურების პაკეტის) მითითებით;
ე) სამედიცინო ორგანიზაციის მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა, მომსახურეობის მითითებით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სამედიცინო ვაუჩერი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება გაეწევა იმ პირებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება (კტ და მრტ კვლევა კონტრასტით / კონტრასტის გარეშე მოთხოვნილებიდან გამომდინარე) დაუფინანსდებათ 50 პროცენტის ოდენობით, ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე და ვაუჩერის გაცემის მომენტში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს (ქალებს 60 წლამდე, მამაკაცებს 65 წლამდე), რომელთა თვიური დარიცხული ხელფასი ნაკლებია საშუალო ხელფასზე (1000 ლარი თვეში /არასტაბილური შემოსავლის მქონე)/ თვითდასაქმებული).

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.